თაღლითობა თუ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა

თამარ ჩინჩალაძე

დოქტორანტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2025.11.01.19

აბსტრაქტი

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებისა და თაღლითობის გამიჯვნა დღემდე აქტუალური და პრობლემური საკითხია. დროთა განმავლობაში, დანაშაულის ჩამდენი პირების მხრიდან იხვეწება დანაშაულის ჩადენის ხერხები, ჩნდება ახალი შემადგენლობები, რომელთა მეშვეობითაც ცდილობენ მოატყუონ სხვა ადამიანები და დაეუფლონ მათ საკუთრებას, რა დროსაც აქტიურად იყენებენ სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებებს.

პრაქტიკაში შესწავლილ იქნა არა ერთი საქმე, მათ გარკვეულ ნაწილზე გამოძიებაც არ იქნა დაწყებული იმ მიზეზით, რომ სახეზე იყო ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა და არა დანაშაული. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად კი ყურადღება ექცეოდა მხოლოდ და მხოლოდ პოტენციური დაზარალებულის განცხადებისა და მასთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის იმ ნაწილს, სადაც აღწერილი გახლდათ სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადება. ყურადღებას არავინ ამახვილებდა დამნაშავის განზრახვაზე წინასწარ დაუფლებოდა სხვის ნივთს. ცხადია, რომ თითოეული საქმე ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, მაგრამ თუნდაც ერთი ისეთი ადამიანის არსებობა, რომელსაც ზიანი მიადგა და რომელმაც განცხადებაზე პასუხად მიიღო, რომ მისი შემთხვევა არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს და წარმოადგენს სამოქალაქო დავის საქმეს, საკმარისია იმისთვის, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობა შეუმცირდეს, რაც საბოლოოდ, უნდობლობასა და სხვა საქმეებში თანამშრომლობის სურვილის არქონას იწვევს, რაც საკმაოდ დიდ პრობლემებს ქმნის სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში.

ნაშრომში გაანალიზებულია თაღლითობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებული, პრაქტიკაში არსებული პრობლემები. სტატიაში განხილულია ის მნიშვნელოვანი პირობები (გარემოებები), რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას ხელშეკრულებების შედგენისას. გარდა აღნიშნულისა, მიმოხილულია ის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია გარიგების გაფორმებისას.

სტატიაში ყურადღება ეთმობა თაღლითობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის გამიჯვნის პრობლემატიკას, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. განხილულია სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მოძიება და დამუშავება მოხდა სტატიაზე მუშაობის პროცესში.

თაღლითობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის გამიჯვნის პრობლემატიკა 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამის განვითარებას და კანონმდებლობის მუდმივ სრულყოფას მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან.

საკვანძო სიტყვები: მოტყუება; წინასწარი განზრახვა; ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

Fraud or Breach of Obligation Arising from the Sale Agreement

Tamar Chinchaladze

PhD student

East European University

Abstract

The separation of obligations arising from a sale agreement and fraud is still a topical and problematic issue. Over time, the methods of committing crimes by perpetrators are improving, new structures appear, through which they try to deceive other people and take possession of their property, while actively using civil legal transactions.

In practice, more than one case was studied, and an investigation was not even initiated into a certain part of them for the reason that there was a violation of obligations arising from a sale agreement, and not a crime. In making the above decision, attention was paid only to that part of the information obtained as a result of the statement of the potential victim and the interview with him, where the conclusion of a civil legal transaction was described. No one paid attention to the intention of the perpetrator to take possession of someone else's thing in advance. It is clear that each case requires an individual approach, but the presence of even one person who has suffered damage and who, in response to the application, received that his case does not contain signs of a crime under the Criminal Code and is a civil dispute case, is enough to reduce the trust of a certain part of society in law enforcement agencies, which ultimately leads to distrust and unwillingness to cooperate in other cases, which creates quite big problems in the conduct of criminal proceedings.

The paper analyzes the problems in practice related to fraud and breach of obligations arising from a sale agreement. The article discusses the important conditions (circumstances) that must be taken into account when drawing up agreements. In addition to the above, it reviews the important elements that must be taken into account when concluding a transaction.

The article focuses on the problem of distinguishing between fraud and breach of obligation arising from a contract of sale, both from a theoretical and practical point of view. Statistical data are discussed, which were obtained and processed in the process of working on the article.

The problem of distinguishing between fraud and breach of obligation arising from a contract of sale requires the development of legislation in accordance with the requirements of the 21st century and the constant improvement of legislation by the state.

Keywords: fraud; premeditated intent; contractual obligation.

შესავალი

"სისხლის სამართლის ეფექტური მოქმედების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოთა გრძელვადიანი განვითარება. იგი არის მთავარი ,,იარაღი" სახელმწიფოს ხელში ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ნორმატიული აქტების იერარქიაში სისხლის სამართლის კოდექსის ,,დაბალი რანგის" მიუხედავად, მისი სტატუსი მაღალია _ ქმედების დანაშაულად გამოცხადება სისხლის სამართლის ექსკლუზიური (დისკრეციული) უფლებაა. იგი სჯის მხოლოდ მის მიერ განსაზღვრულ ქმედებას. სისხლის სამართალი, როგორც სამართლის განსაკუთრებული მნიშვნელობის დარგი, ადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების საფუძვლებს. შესაბამისად, ხარვეზიანი სისხლის სამართლის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს მისი მთავარი მიზნების შესრულებასა და სამართლებრივი სიკეთეების დაცვას, რაც მხოლოდ ეროვნული სისხლის სამართლის ამოცანას არ წარმოადგენს."[1]

თაღლითობის და სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის გამიჯვნის პრობლემა არაერთი ქვეყნის იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში ერთ-ერთი აქტუალური და სათანადოდ დაუმუშავებელი საკითხია, რომელსაც თეორიულთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გამიჯვნის პრობლემა დღის წესრიგში დადგა განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში, თავისუფალი ეკონომიკის პირობებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით თაღლითობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია, რომელიც ვითარდება დროსთან ერთად. დამნაშავეები სხვადასხვა გზებით და ხერხებით, სხვა ადამიანების მოტყუებით, მათი შეცდომაში შეყვანით ცდილობენ დაეუფლონ სხვის ქონებას და ასე მიიღონ შემოსავალი.

აღნიშნულის პარალელურად სისხლის სამართლის კოდექსში შედის არაერთი ცვლილება, იქმნება ახალი ზოგადი და სპეციალური ნორმები, რომელთა მეშვეობითად კანონმდებელი ცდილობს ამომწურავად მოაწესრიგოს ამა თუ იმ დანაშაულის დასჯადობა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კანონმდებელი რეაგირებს მას შემდგომ, რაც დღის წესრიგში დგება კონკრეტული ქმედების კრიმინალიზაცია მისი გავრცელებადობიდან გამომდინარე. შესაბამისად, კონკტერული ქმედება მაშინ ხდება დანაშაული, თუ მისი ჩადენის რაოდენობა იზრდება და აქვს სპეციფიკური ხასიათი. მაგ. როგორც მოხდა კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ჩადენილი ქურდობის, თაღლითობის, მითვისების და სხვა ქმედებებთან მიმართებაში, როდესაც რაოდენობრივად იმატა კომპიუტერულ სისტემაში შეღწევით ჩადენილმა ქურდობებმა და ფაქტობრივად ხდებოდა ერთი ქმედების ორმაგი კვალიფიკაცია

[1] დგებუაძე გ. (2017), "დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლო-ამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით", სადოქტორო ნაშრომი, გვ.15;

კანონმდებელმა შემოიღო 286 პრიმი მუხლი[2], რომლის ფარგლებშიც მოაქცია კომპიუტერული სისტემის მეშვეობით სხვისი ქონების დაუფლების დანაშაული.

გასაკვირი არაა, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის პარალელურად საჭირო ხდება ყველა ინდივიდუალური შემთხვევის მაქსიმალური სიზუსტით შესწავლა, რადგან შესაძლოა დადგეს თაღლითობისა და ზოგადად, სამოქალაქო ვალდებულების, განსახილველ შემთხვევაში კი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევისგან გამიჯვნის საჭიროება.

ნაშრომში მიმოხილულია თაღლითობის კვალიფიკაციისთვის სავალდებულო ცალკეული ელემენტები, ასევე, ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობები. კონკრეტული მაგალითების გამოყენებით გაანალიზებულია თაღლითობის და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის გამიჯვნასთან დაკავშირებული პრაქტიკაში არსებული სირთულეები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ასევე, ნაშრომში გაზიარებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი წინადადება/რეკომენდაცია, რაც კვლევის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.

თაღლითობის კვალიფიკაცია მეტად საინტერესო და სადისკუსიო საკითხია სისხლის სამართალში. ამდენად, ნაშრომში განხილული თემები, მოსაზრებები და მაგალითები, საინტერესო იქნება საკითხით დაინტერებული პირებისთვის და ხელს შეუწყობს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფას.

1. თაღლითობა[3] და მისი შემადგენელი ელემენტები

თაღლითობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველაზე გავრცელებული დანაშაულია[4]. იგი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში - სსკ) 180-ე მუხლით[5], რომლის მიხედვითაც დასჯადადაა გამოცხადებული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. „ქმედების სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, რა დროსაც პირს შეგნებული აქვს, რომ იგი *მოტყუებით*, მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა. ქმედების თაღლითობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის განზრახვა - მოტყუებით და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლოს სხვის ნივთს, ან მიიღოს ქონებრივი უფლება.“[6]

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაბამისობაშია ასოცირების შესახებ შეთანხმებაში გაწერილ თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივ

[2] 2021 წლის 27 აპრილის კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. მუხლი 3. < https://matsne.gov.ge/ka/document/view/5148325?publication=0#DOCUMENT:1; > [ნანახია 10.12.2025};

[3] ვრცლად ი.ხ. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ. (2019), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გამომც „მერიდიანი“, თბ., გვ. 498-516;

[4]

[5] ი.ხ. სისხლის სამართლის კოდექსი 2024 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით;

[6] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 იანვრის განაჩენი საქმეზე საქმე №-ბ/832-18;

ნორმებთან, რომელშიც განსაზღვრულია აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ძირითადი ელემენტი.[7]

თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში - მოტყუებაში მდგომარეობს, რისი დახმარებითაც ხდება ძირითადი მოქმედების შესრულების უზრუნველყოფა. სხვა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ქმედების განმახორციელებელი პირებისგან განსხვავებით დამნაშავის მოქმედებას ინფორმაციული ხასიათი აქვს, რა დროსაც დაზარალებულის ნდობა ბოროტადაა გამოყენებული. ქმედების შემადგენლობის არსებობისთვის მნიშვნელოვანია დამნაშავე დაეუფლოს სხვის ნივთს, ან ქმედების განხორციელების შედეგად მიიღოს სხვის ქონებაზე საკუთრების უფლება, რისთვისაც იყენებს მოტყუებას, რა დროსაც შეცდომაში შეჰყავს დაზარალებული - არ აწვდის მას სრულყოფილ ინფორმაციას არსებული ფაქტების შესახებ (პასიური მოტყუება), ან აწვდის წინასწარი შეცნობით ცრუ ინფორმაციას და ამ გზით ცდილობს მის შეცდომაში შეყვანას (აქტიური მოტყუება).

დანაშაულის შემადგენლობის არსებობისთვის მნიშვნელოვანია დამნაშავე იყოს 14 წელს გადაცილებული პირი, რომელსაც წინასწარ ჰქონდეს განზრახული სხვისი (მესაკუთრის/მფლობელის) ნივთის/ქონებრივი უფლების უსასყიდლოდ (იშვიათ შემთხვევაში მცირედი სასყიდლით) დაუფლება, ე.ი. სურდეს როგორც ნივთის/ქონებრივი უფლების ფლობა, სარგებლობა, ასევე განკარგვა. მნიშვნელოვანია დადგინდეს დამნაშავემ ქონება მიიღო თუ არა გარიგების-ხელშეკრულების საფუძველზე. თუ დამნაშავემ ქონება მიიღო სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ფიქციურად შედგენის საფუძველზე, რის შემდგომაც საპირისპირო ქმედებას არ განახორციელა, მნიშვნელოვანია დადგინდეს ამ უკანასკნელს ჰქონდა თუ არა ნივთის დაუფლება წინასწარ განზრახული (ხელშეკრულების დადებამდე) და სცადა დამატებითი მოლაპარაკებების წარმოება ვალდებულების შესასრულებლად.

თაღლითობის დანაშაულის საშიშროებას განაპირობებს ის, რომ დანაშუალის ჩამდენი პირი დაზარალებულის ნდობას მოიპოვებს ქმედების ჩადენის საწყის ეტაპზე, ან არსებული ურთიერთობის გამოყენებით ატყუებს მას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოტყუებული დაზარალებული თავისი ნების საფუძველზე გადასცემს დამნაშავეს კუთვნილ ქონებას, ან მის ნაწილს, რადგანაც მას არ აქვს აღქმული დამნაშავის ქმედების მართლწინააღმდეგობა, რადგანაც ხშირშემთხვევაში შედგენილი ფიქციური ხელშეკრულება, შინაარსობრივად ყალბი დოკუმენტი დამნაშავის მიერ, რომლის ნამდვილობის საკითხს ეჭვქვეშ არ აყენებს მანამ, სანამ არ დადგება კონტრაჰენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების დრო.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქმედების თაღლითობად დაკვალიფიცირების საკითხზე მსჯელობისას, გაანალიზებულ უნდა იქნას

---

[7] ოხანაშვილი ა. (2019), ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ თაღლითობასთან ბრძოლის რეგულაციები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით; საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირის ინსტიტუტებთან, კერძოდ, თაღლითობასთან ბრძოლის ევროპულ სამსახურთან (OLAF), რედ. თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე., ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, მერიდიანი, თბილისი, გვ. 678-682.; "ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის"(
27/06/2014წ.) - ოქმი №4, პუნქტი №4 (15.11.2023 წლის მდგომარეობით).

ზემოთ აღნიშნული ნიშნების არსებობა-არ არსებობის საკითხი და დადებითი პასუხის შემთხვევაში დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

2. ნასყიდობის ხელშეკრულება და მისი არსებითი პირობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლში კანონმდებელმა ნათლად განმარტა, რომ მყიდველის იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს ღირებულება, ხოლო ეს უკანასკნელი იღებს ვალდებულებას გადასცეს ნივთი/საკუთრების უფლება ხელშეკრულების მეორე მხარეს. ნასყიდობის საგნის ჩამონათვალს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მნიშვნელივანია, რომ აღნიშნული ობიექტი არ იყოს სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ნივთი.[8] სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება იმთავითვე ბათილია რადგანაც კანონსაწინააღმდეგოა და იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[9]

ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის ყველა არსებით პირობაზე კანონით დადგენილი წესით შეთანხმების მომენტიდან. ხშირ შემთხვევაში, არსებით პირობად გვევლინება ნივთის სახეობა, თვისებები, ხარისხი და ღირებულება. მხარეები იმდენად არიან დაინტერესებული სხვადასხვა ნივთის შეძენით, რომ ყურადღებას არც კი ამახვილებენ იმ პირობებზე, რომლებთან დაკავშირებითაც უთანხმდებიან კრედიტორს. პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა აგრარულ ბაზარში საკვებ პროდუქტთან დაკავშირებით იდება ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც საკმაოდ დაბალ ფასად ხდება პროდუქციის შეძენა, ხოლო გარკვეული დროის შემდგომ შემძენი აბრუნებს უკან შეძენილ ნივთს და აღნიშნულს ხსნის გამყიდველის მიერ დაზიანებული პროდუქციის მიყიდვით. რეალურად რომ შევხედოთ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს აშკარაა, რომ რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებ ფასად სხვისდება პროდუქცია, როდესაც დაზიანებულია იგი და გარკვეული სახის ნაკლი აქვს. შემძენის მხრიდან ხელშეკრულების ბათილობის მოთოვნა არაკეთილსინდისიერების მიმანიშნებელია.

საქართველოში ხელშეკრულების უმეტესობა იდება სტანდარტული პირობებით და არ ხდება მათი მოდიფიცირება ხელშეკრულების მხარეების მოთხოვნების მიხედვით. ხშირია შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებაში არ არის გამოყოფილი პუნქტი პირობის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ. მითითებულია მხოლოდ ზოგადი პასუხისმგებლობის თაობაზე და ისიც სასამართლოს გზით, რაც კიდევ უფრო მეტ სახსრებს მოითხოვს ორივე მხარისგან. ასევე, არ არის რაიმე კონკრეტული მითითება, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება ხელშეკრულების დადებისას

21-ე საუკუნის სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის პარალელურად საკმაოდ ხშირად იდება ნასყიდობის ხელშეკრულბები, რომელთა უმეტესობა იდება ზეპირად, ხოლო დაწერილი ხელშეკრლულებების შემთხვევაში ხშირად მხარეებს არ ესმით სტანდარტული პირობების შინაარსი, რომელთაც გაუცნობიერებლად აწერენ ხელს. აღნიშნულის გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც არ ხდება ხელშეკრულების შესრულება, რის შემდგომაც დღის

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 7;

[9] მაგ. სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე ტერცია მუხლი, 143-ე პრიმა მუხლი, 236-ე მუხლის მე-5 ნაწილი ...;

წესრიგში დგება საკითხი იმის შესახებ სახეზეა დანაშაული თუ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევა.

3. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის გარიგება, ანუ ზეპირი ან/და წერილობითი ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.[10]

ნასყიდობის ხელშეკრულება კონსენსუალური ხასიათისაა და დადებულად მიიჩნევა კანონით დადგენილი ფორმით ყველა არსებით პირობაზე შეთანხმების მომენტიდან, რაც იწვევს მხარეთა ვალდებულებას შეასრულონ გარიგების პირობები - მყიდველი ვალდებულია გადასცეს გამყიდველს შეთანხმებული თანხა/ნივთი, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია გადასცეს მას ნასყიდობის საგანი.

ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდგომ თუ ერთ-ერთი მხარე დაარღვევს შეთანხმების პირობას დგება სამართლებრივი დაცვის საშუალებების მოძიების საკითხი. ვალდებულების დარღვევისას უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს სახეზე არის თუ არა ხელშეკრულების დარღვევა სამართლებრივი თვალსაზრისით, დადებითი პასუხის მიღების შემდგომ კი უნდა გადაწყდეს სამართლებრივი დაცვის რა ბერკეტები აქვს კრედიტორს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორს აქვს სამართლებრივი დაცვის შემდეგი ოთხი გზა: I. მოითხოვოს კონკრეტული ქმედების შესრულება; II. მოითხოვოს ზიანის ფინანსური ანაზღაურება; III. არ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მანამ, სანამ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ ვალდებულებას; IV. უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე ან შეწყვიტოს მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა.[11]

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას მხარეები გარიგებას დებენ ნაკისრი ვალდებულების შესრულების და სანაცვლო სარგებლის მიღების მიზნით. ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში არ განიხილება ხელშეკრულების ბათილობის საკითხი. იგი განაგრძობს მოქმედებას ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე უარის განცხადებამდე. მოტყუებით ან თაღლითობით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულება ბათილია მისი დადების მომენტიდან, რადგან დამნაშავე არ დებს გარიგებას ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, რადგანაც მას სურს სარგებლის მიღება სანაცვლო ვალდებულების შესრულების გარეშე.

კვლევის მიმდინარეობისას შესწავლილ იქნა არაერთი სისხლის სამართლის საქმე და განცხადება, რომლებიც საგამოძიებო ორგანოში იყო შეტანილი გამოძიების დაწყების

[10] ი.ხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2024 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით.

[11] თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, რედ. ყვირალაშვილი ხ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006, გვ. 116-118.

მოთხოვნით. გამოკვლეული იქნა 20 ხელშეკრულება, რომლებიც გაფორმებული იყო სხვადასხვა კომპანიასთან თუ ფიზიკურ პირთან. ყველას ჰქონდა იდენტური პირობები. მასალებში იყო სატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის, უძრავი ქონების ნასყიდობა-გამოსყიდვის უფლებით და წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებები. ყველას ინდივიდუალურად ჰქონდა შედგენილი მხოლოდ და მხოლოდ გადახდის ღირებულებისა და ვადის პუნქტები. 20 ხელშეკრულებიდან 8 იყო ვალდებულების სტანდარტული დარღვევა მყიდველის მიერ, 6 იყო თაღლითობა, 3 გახლდათ მითვისება-გაფლანგვის შემთხვევა, ხოლო 3 წარმოადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების უგულებელყოფას უშუალოდ გამყიდველის მიერ.

აღნიშნული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული რა ფორმით და ვისთან უნდა განაცხადოს მყიდველმა ნივთის ნაკლის არსებობის შესახებ. ასევე, არ არის ჩაწერილი გამყიდველის ვალდებულება ნივთის ნაკლის შემთხვევაში აანაზღაუროს ზიანი. არ არის მოცემული ხელშეკრულების ისეთი პირობები, როგორებიცაა თანხის გადაცემის დრო და ადგილი. აღნიშნული დათქმების არარსებობა კიდევ უფრო ართულებს გადაწყვეტილების მიღებას დანაშაულის ან/და სახელშეკრულებო ურთიერთობების დარღვევის არსებობასთან მიმართებაში.

4. პრაქტიკაში არსებული სირთულეები თაღლითობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის გამიჯვნასთან დაკავშირებით

პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როდესაც მნიშვნელოვანია პირის თავდაპირველი განზრახვის განსაზღვრა რათა შემდგომ დადგინდეს თუ რა მიზნით დაიდო ხელშეკრულება და ხომ არ ჰქონდა კონტრაჰენტის მოტყუებას ადგილი.

არაერთ საქმეზე დაიწყო წარმოება მას შემდეგ, რაც კონტრაჰენტმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, არც კრედიტორის მიერ განსაზღვრული დამატებითი დროის გასვლის შემდგომ. დაზარალებულებმა მიმართეს სასამართლოს ხელშეკრულების შეწყვეტის და ობიექტის მათთვის დაბრუნების შუამდგომლობით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევისას დგინდებოდა, რომ ნივთი განადგურებული ან/და გასხვისებული. აღნიშნულის შემდეგ კი მიმართეს საგამოძიებო ორგანოებს და დაიწყო გამოძიება თაღლითობის დანაშაულისთვის და უმეტესობაზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. ზემოთ აღნიშნული საქმეების გარკვეულ ნაწილში დადგინდა, რომ სახეზე არ იყო თაღლითობის შემადგენლობა და ადგილი ჰქონდა სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 27 ოქტომბრის[12] განჩინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას ადგილი არ ჰქონდა მხარეებს შორის და სახეზე იყო დანაშაული. აღნიშნული განჩინებით ირკვევა, რომ ლ. შ-ს და ნ.ჭ-ს მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის 3 ეპიზოდისთვის, რამაც დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. თ-ს და მის შვილს ლ. მ-ს სურდათ კუთვნილი თანხის სარგებლის სანაცვლოდ გასესხება, რისთვისაც

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 27 ოქტომბრის განჩინება (საქმე №432აპ-25);

2020 წლის დასაწყისში მიმართეს ნ. ჭ-ს კუთვნილ უძრავი ქონების სააგენტოს აღნიშნულ სააგენტოს მიმართა ასევე გ. ა-მაც, რომელსაც სურდა კუთვნილი მიწის ნაკვეთის გასხვისება. მსჯავრდებულებმა გადაწყვიტეს აღნიშნული ქონებების მოტყუებით დაუფლება. ერთი მხრივ დაზარალებულები ნ. თ და ლ. მ. დაარწმუნეს, რომ 3 თვის გასვლის შემდგომ გ. ა. მათ დაუბრუნებდა 26 095 ლარს პროცენტით, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, ამ გზით ისინი დაეუფლნენ დაზარალებულების კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს. 2020 წლის 18 ივლისს, ნოტარიუსთან გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაზარალებულ გ. ა-ს ჩვენებაზე, რომელმაც განმარტა, რომ მას სურდა კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება და არა სხვა ხელშეკრულებების გაფორმება, ასევე ნ. ხ-ს სთხოვა მისთვის სესხის სახით გადაცემული 4000 აშშ დოლარის დაბრუნება, რადგანაც ჰქონდა ფინანსური პრობლემები. ნ. ხ-ს მოთხოვნით მან გადასცა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე წინასწარ გაამზადა ნოტარიუსთან ნასყიდობა/გამოსყიდვის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა მისივე თხოვნით. ხელმოწერის შემდგომ კი მას მხოლოდ 2000 აშშ დოლარი გადასცეს, ხოლო კითხვაზე თუ სად იყო დარჩენილი თანხა, მას უთხრეს, რომ უძრავ ქონებას გადაყიდიდნენ ძვირად და დანარჩენ ღირებულებას შემდგომ მისცემდნენ. აღნიშნულის შემდგომ კი დამნაშავეები კონტაქტზე აღარ გადიოდნენ და აღარც ხვდებოდნენ. აღნიშნული ფაქტი დაადასტურა ასევე ნ. თ-მ, რომელმაც განმარტა, რომ მას მსჯავრდებულებმა ორჯერ დაადებინეს ხელშეკრულება, დაარწმუნეს, რომ თანხას დროულად დუბრუნებდნენ სარგებლით. აღნიშნულის მიუხედავად ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ დადგინდა, რომ ხელშეკრულებების შინაარსობრივი მონაცემები იყო ყალბი. მასში მოცემული მონაცემები არ შეესაბამებოდა საჯარო რეესტრში აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არსებულ მონაცემებს. მიუხედავად აღნიშნული დროისა, მას არ დაუბრუნეს კუთვნილი თანხა. დაზარალებულთა მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაცია დადასტურდა, როგორც საჯარო რეესტრიდან ამოღებული დოკუმენტაციით – გამოსყიდვის უფლებით უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებებით, გამოსყიდვის უფლებით უძრავი ნივთის ნასყიდობის გაუქმების ხელშეკრულებებითა და მინდობილობით, ასევე ექსპერტიზების დასკვნით, რომლითაც დადგინდა, რომ ქონების ღირებულება გაცილებით ნაკლები იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებზე.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომელიც ითხოვდა მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობას იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ლ. შ–ისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედებები მიეკუთვნება სამოქალაქო სამართლის და არა სისხლის სამართლის რეგულირების სფეროს, რადგანაც თითოეულ შემთხვევაში დამნაშავეებმა მოტყუების გასაადვილებლად გამოიყენეს სამოქალაქო-სამართლებრივი შეთანხმება.

თაღლითობა დადგინდა „საქმეში - ლეიქი სიმონსის წინააღმდეგ (Lake v. Simmons). ქალბატონი მივიდა საიუველირო მაღაზიაში და თავი წარადგინა ვინმე ვან დე ბურგის მეუღლედ. მან მოითხოვა ორი ბრილიანტის მძივი, რადგან, მეუღლე გეგმავდა მისთვის ერთ-ერთის შეძენას, და სურდა, დაეთვალიერებინა ისინი. მოსარჩელემ ნება დართო მას, აეღო მძივები. სინამდვილეში, იგი არ იყო ვან დე ბურგის მეუღლე, თუმცა, მასთან ერთად ცხოვრობდა. მძივების მიღების შემდეგ, ქალბატონი გაუჩინარდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს საქმე ჰქონდა ქალბატონთან, როგორც ვან დე ბურგის მეუღლესთან, და დაადგინა, რომ, რამდენადაც, მოსარჩელე „მოტყუებული დარჩა იმ პიროვნების

იდენტურობასთან დაკავშირებით“, რომელთანაც მას კავშირი ჰქონდა, სახეზე არ იყო consensus ad idem, შესაბამისად, სახეზე არ იყო ხელშეკრულება. იდენტურობა მნიშვნელოვანი იყო ამ შემთხვევაში, რამდენადაც, ქალბატონი ვან დე ბურგის წარმომადგენელი რომ ყოფილიყო, მისი პირადი კრედიტუნარიანობა არ იქნებოდა არსებითი, ხოლო, თუ იგი ხელშეკრულებას თავისი სახელით დადებდა, მოსარჩელეს ექნებოდა შესაძლებლობა, უფრო მეტი წინააღმდეგობა გაეწია მისთვის, აეღო საქონელი ფულის გადახდის გარეშე.“[13]

21-ე საუკუნის დასაწყისში არსებული კოვიდ პანდემიის პირობებში, როდესაც ყველა კონტინენტი მოიცვა გადაადგილების შეზღუდვებმა და საჭირო გახდა დისტანციურად ურთიერთობების მოწესრიგება, აუცილებელი გახდა სავაჭრო ურთიერთობების იმგვარად მოდიფიცირება, რომ მხარეებს ერთმანეთთან დისტანციურად დაედოთ შეთანხმებები. აღნიშნულმა კი წამოჭრა უფრო დიდი პრობლემა. ხელშეკრულებების დადება დაიწყო დისტანციურად. განსაკუთრებით საჭირო გახდა პროდუქციის ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებიც უმეტესწილად არათანმყოფ პირებს შორის იდებოდა და მხარეები ფიზიკურად არ იცნობდნენ ერთმანეთს. შესაბამისად იმატა ნაკლიანი ნივთის გასხვისების პრობლემებმა, ასევე ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევებმა. გახშირდა თაღლითობის ფაქტებიც. 2020 წლიდან მოყოლებული საკმაოდ ბევრი განცხადება დაიწერა საგამოძიებო ორგანოებში სოციალურ ქსელებში არსებული გვერდებთან „ხელშეკრულების“ დადების და მისი შეუსრულებლობის ფაქტებზე. ნაწილ მათგანზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. ნაწილთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება და სამართალწარმოება.

დანაშაულის და სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევისას მნიშვნელოვანია გამოკვლეულ იქნას შემდგომი საკითხები: როდის დაიდო ხელშეკრულება; რა ვადით; რას არის ხელშეკრულების საგანი; აქვს თუ არა მას რაიმე ნაკლი; შემოწმება გაიარა თუ არა ნივთმა გადაცემისას; აქვს თუ არა მყიდველს ეკონომიკური შესაძლებლობა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება; ჰქონდა თუ არა ვალდებულების დარღვევამდე ფორსმაჟორული სიტუაციის არსებობის შესახებ შეტყობინება გაგზავნილი გამყიდველთან; შედგენილია თუ არა ხელშეკრულება წერილობითი ფორმით; რამდენად შეესაბამება ხელშეკრულებაში არსებული ფაქტობრივი გარემოებები რეალობას; ასევე, უნდა დადგინდეს ხელშეკრულების დადებიდან რა პერიოდია გასული მის დარღვევამდე.

მნიშნელოვანია სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული იყოს: ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა; საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა; ხელშეკრულების დარღვევისთანავე სასამართლოს გზით უნაკლო ნივთის[14] დაუყოვნებლივ დაბრუნების ვალდებულება; მედიაციის შესახებ დებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინების სავალდებულოობა; თავდები პირის მითითების ვალდებულება.

აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს მხარეებს, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულებაში, ასევე ნასყიდობის

[13] ამირანაშვილი გ., თაღლითობით გამოწვეული შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში, ანგლოსაქსური სამართლის მიხედვით წიგნში: ნ. თოდუა. (რედ.), გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, გამომც. გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2016წ., 427

[14] თუმანიშვილი გ., ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, გვ. 55-60,

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შექმნის მექანიზმს, რომელიც მოკლე ვადაში დაეხმარება მხარეებს თავიანთი უფლება-მოვალეობების დაცვაში.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი ეკონომიკის პირობებში თაღლითობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის გამიჯვნა 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. დროთა განმავლობაში დამნაშავენი ხვეწენ დანაშაულის ჩადენის ხერხებს და გზებს. აღნიშნული პრობლემის ცალსახა გადაწყვეტა არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს სასყიდლიანია თუ არა გარიგება, მხარეებს აქვთ თუ არა მათთვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების სურვილი, როდის მოხდა შეთანხმების დარღვევა, ჰქონდა თუ არა კონტრაჰენტს ხელშეკრულების დადებამდე განზრახული ნივთის უსასყიდლოდ დაუფლება.

სამწუხაროდ, სასამართლოს არც თუ ისე ბევრი გადაწყვეტილებაა, რომლებშიც ხდება გამიჯვნა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის და თაღლითობის. ხშირად ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება მხარეებს შორის, ან საქმისწარმოება მიმდინარეობს უდავო წარმოების წესით. საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა დეტალურად შეგვესწავლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკა და შეგვექმნა შესაბამისი რეკომენდაციები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა საქმე ინდივიდუალურია და მისი შესწავლის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს ზედამხედველმა პროკურორმა სახეზეა თაღლითობა, თუ სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევა. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება თაღლითობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის გამიჯვნა.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული კიტერატურა:

1. ამირანაშვილი გ., თაღლითობით გამოწვეული შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში, ანგლოსაქსური სამართლის მიხედვით წიგნში: ნ. თოდუა. (რედ.), გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, გამომც. გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, (2016);
2. დგებუაძე გ. (2017), "დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლო-ამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით", სადოქტორო ნაშრომი;
3. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, რედ. ყვირალაშვილი ხ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, (2006);
4. თუმანიშვილი გ., ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, (2012);
5. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ. (2019), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გამომც „მერიდიანი", თბილისი;
6. ოხანაშვილი ა. (2019), ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ თაღლითობასთან ბრძოლის რეგულაციები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით; საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირის ინსტიტუტებთან, კერძოდ, თაღლითობასთან ბრძოლის ევროპულ სამსახურთან (OLAF), რედ. თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე., ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, მერიდიანი, თბილისი;

ნორმატიული აქტები:

1. 2021 წლის 27 აპრილის კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. მუხლი 3. < https://matsne.gov.ge/ka/document/view/5148325?publication=0#DOCUMENT:1; > [ნანახია 10.12.2025};
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=286> [ნანახია 10.12.2025};
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=136> [ნანახია 10.12.2025};
4. "ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის"(27/06/2014წ.) - ოქმი №4, პუნქტი №4 (15.11.2023 წლის მდგომარეობით).

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 იანვრის განაჩენი (საქმე №-ბ/832-18);

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 27 ოქტომბრის განჩინება (საქმე №432ა3-25);